

ზოგი უცხო სიტყვის მართლწერისათვის

ქართულში შემოსული უცხო სიტყვების მართლწერა ძირითადად მოგვარებულია. მართალია, ხშირად გვაქვს ცალკეული სიტყვების ორ-ორი (და ზოგჯერ მეტი) დაწერილობა, მაგრამ თითქმის ყოველთვის ვიცით, რომელია მათგან ძირითადი, სალიტერატურო ენისათვის მი-საღები და რომელი არ არის ასეთი.

როგორც ცნობილია, ენობრივი ნორმა არ არის ერთხელ და სა-მუდამოდ მოცემული. დროთა ვათარებაში შეიძლება ამა თუ იმ სიტ-ყვის დაწერილობის გადაფასება მოხდეს.

აქ წარმოდგენილია რამდენიმე სიტყვა, რომელთა მართლწერის ნაწილობრივი შეცვლა მიგვაჩნია საჭიროდ.

**1. მონპანსიე** თუ **მონპასიე**? (ფრ. montpencier), **ბლანმანჟე** თუ **ბლამანჟე**? (ფრ. blans-manger). პირველი ნიშნავს ხილეულის ერთ-გვარ კანფეტს, მეორე — ნაღების ან ნუშის რძის ჟელეს.

„**მონპანსიე**“ ამ სახით შეტანილია რუსულ-ქართულ სამტომეულ (იხ. I ტ. 1959 წ.) და ერთტომეულ (1983 წ.), ორთოგრაფიულ (1968 წ.) და უცხო სიტყვათა (III გამოც., 1989 წ.) ლექსიკონებში.

„**ბლანმანჟე**“. ამ სიტყვას ნმ კომპლექსით ვხვდებით ორთოგრა-ფიულსა და უცხო სიტყვათა ლექსიკონებში.

დისახელებულ ლექსიკონებში გატარებულია უცხოურ დაწერი-ლობასთან მაქსიმალური მიახლოების პრინციპი.

რაც შეეხება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს (რვატო-მეულს), მასში ამ სიტყვების დაწერილობა გამარტივებულია და წარ-მოდგენილია ასეთი სახით: **მონპასიე** (ამოღებულია მეორე ნ; იხ. V ტ.) და **ბლამანჟე** (ამოღებულია პირველი ნ; იხ. I ტ.).

მიზანშეწონილი იქნება, თუ, საერთოდ, გადავალო ამ ორი სი-ტყვის გამარტივებულ სახეობაზე და ყველგან გვექნება **მონპასიე** და **ბლამანჟე**, რადგანაც ზეპირ მეტყველებაში ასე იხმარებოდა უოველ-თვის და იხმარება ახლაც. ისიც ანგარიშგასაწევია. რომ ამგვარ და-

წერილობას გვთავაზობს ისეთი სოლიდური გამოცემა, როგორცაა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

არც „მონპასიე“ და არც, მით უმეტეს, „ბლამანჟე“ ქართულში არ არის აქტიური ხმარების სიტყვა, მაგრამ, რაკი მაინც გვხვდება, უნდა ვიცოდეთ კიდევაც მათი მართებული დაწერილობა.

„ბლამანჟეს“ შესახებ დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ გაიგონებთ „ბლომანჟეს“, რაც აშკარა შეცდომაა და უკუსაგდებია.

**2. გუმშიარაბიკი-ი თუ გუმერაბიკი-ი?** (ლათ. gummī — ხის წებო და arabicum — არაბული) — წებო ქალაღდის დასაწებებლად.

ეს სიტყვა სალიტერატურო ენაში „გუმშიარაბიკი-ი“ ფორმით არის დამკვიდრებული (იხ. ქეგლ, თლ, რქლ — სამტ. და ერთტ., უსლ), ე. ი. აქაც (თუ არ მივიღებთ მხედველობაში გაორმაგებული თანხმოვნის ცალი თანხმოვნით გადმოცემას, რაც ბუნებრივია ქართული მართლწერისათვის) უცხოურ დაწერილობასთან სიახლოვის პრინციპი მოქმედებს, მაგრამ ზეპირ მეტყველებაში დიდი ხანია გამარტივდა (ია > ე) და იწმარება მხოლოდ **გუმერაბიკი**. ჩვენ გვგონია, დროა მივკეთ ამ ფორმას არსებობის უფლება სალიტერატურო ენაშიც და არ იყოს ისეთი ვითარება, როგორც დღესაა: გწერდეთ ერთს და ვკითხულობდეთ (ვამბობდეთ) მეორეს. ამის აუცილებლობა არა ჩანს.

**3. რ კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვები.** ქართულში შემოსული რ კომპლექსის შემცველი სიტყვები უპირატესად გერმანული წარმოშობისაა, არის თითო-ორილა ძველი ბერძნული და აგრეთვე ინგლისური.

გერმანული წარმოშობის სიტყვებში სალიტერატურო ენის ტრადიციით რ კომპლექსის პფ-ს მეშვეობით, მაგალითად, **დემპფერ-ი** (Dämpfer) — რხევათა მყუჩი მოწყობილობა სხვადასხვა მანქანაში, აბარატში; **პფალცგრაფ-ი** (Pfalzgraf) — მეფის კარის მაღალი თანამდებობის პირი ფრანკთა სახელმწიფოში; **პფოცჰაიმ-ი** (Pfozheim) — ქალაქი, **პფენიგ-ი** (Pfennig) — ხურდა ფული... გვარები **პფეფერ-ი** (Pfeffer), **პფლიუგერ-ი** (Pflüger), **პფაფ-ი** (Pfaff; ცნობილია პფაფის განტოლება), **შვარცკოპფ-ი** (Schwarzkopf), **დერპფელდ-ი** (Derpfeld) და სხვ. ამავე რიგისაა ინგლისური სიტყვა **გრეიფფრუტ-ი** (grape-fruit) — ციტრუსოვანი მცენარე და მისი ნაყოფი.

ამ კომპლექსის შემცველი სიტყვები ძველი ბერძნულიდანაც გვაქვს ნასესხები: **σάκχαρος** (ძვირფასი ქვა) და **Σακφ** (ძველი ბერძენი პოეტი ქალის სახელი).

ქართულისათვის პფ კომპლექსი უჩვეულოა და ამიტომ ბერძნული წარმოშობის სიტყვებში ძველსავე ქართულშია დაწყებული მისი გამარტივება. პირველი მათგანი ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება ორგვარად: **საპფირონი** (აგრეთვე **საპფირი**) და **საფირონი**:

ქვასა ზედა საპფირონსა (ხრონოლრ. 53,35);  
ყოველი ქვა პატიოსანი შეგემოსა... ანთაჳი და საპფირონი  
(0, უზეკ. 28,13).

მაგრამ:

საფუძველნი შენნი საფირონისანი (1, ეს. 54,11)<sup>1</sup>.

თანამედროვე ქართულში გაერცყლებულია ამ სიტყვის გამარტივებული სახეობა. მოგვყავს ერთი მაგალითი:

ო, ისევ ისე,  
ძველებურად, განუზომელად  
დიდია სწრაფვა  
და ფიცხია გული, როჳელიც  
მოწადინეა კვლავ შეერთოს  
ლალს და საფირონს (ა კალანდ.).

სახელი **Σαπφίρ** ქართულში საფოს სახით არის შემოსული (ამას ალბათ დოკუმენტაცია არ სჭირდება).

თუმცა თანამედროვე ავტორებთან ჯერ კიდევ გვხვდება ასეთ სიტყვებში პფ-ც:

ნუხნარის შტოებში გამოკრთოდა საპფირონის ცის ნაჭერი (ვ. გამს).  
ოჯახის ქალმა დატოვა ქმარი, ბრილი, საპფირი, ვერცხლის ვაზები  
(მ. ლებანი).

სულ გამოვიდა აღმანახის („ბომბოს“) ცხრა ნომერი და ვინც ამ კრებულების სარჩევს გადაათვალიერებს, შეხვდება პეშინგუეის, ფრანსუა შორიას, ლუი არაგონს, პაფეზს... საპფოს, ალეკოს, ანაკრეონტს (ვ. ჯელ).

რაც შეეხება **გრეიპფრუტ**-ს, იგი ამ სახითაა წარმოდგენილი ქეგლ-ის რეპტონელში, ოლსა და უსლ-ში. მაგრამ ჯერ კიდევ 1959 წელს გამოცემულ სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში შეუტანიათ **გრეიფრუტის** სახით.

პი კომპლექსი რუსულისთვისაც არ არის, ეტყობა, სულ მთლად ადვილად წარმოსათქმელი (თუმცა მისი შემცველი სიტყვები სალიტერატურო ენაში ძირითადად შესულია უცვლელად).

<sup>1</sup> ბიბლიიდან ციტატები მოყვანლია ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით (1973 წ.).

ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ჩამდენიმე სიტყვაში *pf* კომპლექსი გამარტივებულია. ეს სიტყვებია *вальдшнеп* (გერმ. *Waldschnepfe*) — ტყის ქათამი; *кроншнеп* (გერმ. *Kronschnepfe*) — ესეც ფრინველი; აქვს გრძელი და ოდნავ მოკუჭებული ნისკარტი; რუსული *фунт* გირვანქა მიღებულია გერმ. *Pfund*-იდან.

საინტერესოა, რომ *шнep*-ში კომპლექსის მეორე თანხმოვანია (*f*) დაკარგული, ხოლო *фунт*-ში კი — პირველი (*p*).

ზემოთქმულის მიხედვით, ჩვენი წინადადებაა, გერმანული წარმოშობის სიტყვებშიც გამარტივდეს *ჰფ* კომპლექსი და ქართულ მართლწერაში დამკვიდრდეს მხოლოდ *ფ* (ისევე, როგორც *საფო-სა* და *საფირონ-ში*) და გვექნება: **დემფერი**, **ფალცგრაფი**, **ფოცჰაიმი**, **ფენიგი**, **ფეფერი**, **ფლიუგერი**, **ფაფი** (ფაფის განტოლება) და სხვ.

შეუმჩნეველი დარჩა სოფლის ეურნეობის ტერმინოლოგიის რედაქციის მიერ რეკომენდებული **გრეიფრუტი**. გამართლებული იქნება, თუ ეს დაწერილობა საყოველთაო გავრცელებას პოვებს, მით უმეტეს, რომ ზეპირ მეტყველებაში სხვანაირად არც იხმარება.